სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა

დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

2023 წელი

სამუშაო შეხვედრების ანგარიში და სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა ახალციხის მუნიციპალიტეტში

„დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“

პროექტი მხარდაჭერილია პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის განხორციელების ადვოკატირება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ევროპის ფონდთან და ჰადსონ ვოლის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრთან თანამშრომლობით.

პროექტის მენეჯერი: მარინე მღებრიშვილი

ექსპერტი: ნათია გოფოძე - ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრი „პარტნიორები საქართველო“

სარჩევი

შესავალი 2

შეხვედრების დღის წესრიგი 2

მონაწილეთა სია 3

იდენტიფიცირებული პრობლემები 4

რეკომენდაციები 6

ზოგადი რეკომენდაცია 7

დამატებითი კომენტარები 7

სამოქმედო გეგმა 8

„დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“

ახალციხის მუნიციპალიტეტი

სამუშაო შეხვედრების ანგარიში

პროექტის „დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“ ფარგლებში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის ოთხი შეხვედრა ახალციხის მუნიციპალიტეტში. შეხვედრების მიზანი იყო შშმ პირთა დასაქმების კუთხით არსებული ბარიერების გამოკვეთა და მათი გადალახვის გზებზე მსჯელობა და სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სამუშაო ჯგუფში იყვნენ ახალციხის მერიის წარმომადგენლები, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესის წარმომადგენლები, შშმ პირები. შეხვედრების ფასილიტაციას უზრუნველყოფდა ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრი „პარტნიორები საქართველო“.

შეხვედრების დღის წესრიგი:

დრო	განსახილველი საკითხი
I შეხვედრა - 20 ოქტომბერი	
12:00 – 15:00	– პროექტის პრეზენტაცია – შშმ პირთა დასაქმების ხელშემშლელი ფაქტორები
II შეხვედრა - 23 ოქტომბერი	
12:00 – 15:00	– შშმ პირთა დასაქმების კუთხით არსებული პრობლემების ანალიზი – პრიორიტეტული პრობლემების გამოკვეთა
III შეხვედრა - 25 ოქტომბერი	
12:00 – 15:00	– შშმ პირთა დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკა - სამომავლო ხედვა – შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობი ქმედებების იდენტიფიცირება
IV შეხვედრა - 27 ოქტომბერი	
10:00 – 13:00	– შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გადასადგმელი აუცილებელი ნაბიჯების განსაზღვრა – მუნიციპალიტეტისათვის წარსადგენი საბოლოო რეკომენდაციების დამუშავება

მონაწილეთა სია

#	სახელი და გვარი	ორგანიზაცია	პოზიცია
1	როზა კაპანაძე	„კავშირი თანადგომა შვილებს“	მობილიზატორი
2	ნინო ზედგინიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელი
3	ლალი სამსონიძე	შპს „ეს ელ კომპანი“	დირექტორი
4	ვეფხია დიაკონაშვილი	ააიპ „თანადგომა შვილებს“	თავმჯდომარე
5	თამარ მღებრიშვილი-სამსონიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	ბავშვზე ზრუნვის განყოფილება
6	ნათელა ლურსმანაშვილი	ახალციხის მუნიციპლიტეტის საკრებულო	საკრებულოს წევრი
7	მარეხ ყურმაშვილი	World Vision	პროექტის კოორდინატორი
8	ეკატერინე წამალაშვილი	World Vision	სოციალური მუშაკი
9	მაკა ზედგინიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	სოციალური განყოფილების სპეციალისტი
10	ქეთი ჯვარიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	სოციალური განყოფილების სპეციალისტი
11	ტატიანა გელშვილი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	სოციალური განყოფილების სპეციალისტი
12	მაკა სუდაძე	ახალციხის ახალგაზრუდული ცენტრი	პროექტის კოორდინატორი
13	გელა ლომიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	საფინანსო სამეურვეო სამსახურის ხელმძღვანელი
14	მარიამ მაღრაძე	სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო	რეგიონის წარმომადგენელი
15	ხათუნა ახობაძე	საქართველოს უსინათლოთა კავშირი	მოადგილე
16	ელენა ბეგიაშვილი	World Vision	პროგრამის ოფიცერი
17	ალექსანდრე ლომსაძე	ბიზნეს სექტორი	ბიზნესის წარმომადგენელი
18	მაია გაჩეჩილაძე	შშმპ პირთა კავშირი „თანადგომა შვილებს“	თავმჯდომარე
19	ეკა ბერიძე (შშმ სტატუსი)		
20	რუბენ კარაპეტიან	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	მერის მოადგილე
21	ნუგზარ კაპანაძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	საზ. ჯანდაცვისა და სოც.მომსახურების ხელმძღვანელი
22	ლევანი ინასარიძე (შშმ სტატუსი - ეტლით მოსარგებლე)		

იდენტიფიცირებული პრობლემები:

სამუშაო ჯგუფის მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- **მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირთა ბაზა არ არის სრულყოფილი**

  მუნიციპალიტეტს აქვს შშმ პირთა ბაზა EXCEL-ის ცხრილის სახით, თუმცა, ამ მიმართულებით გამოიკვეთა ორი ძირითადი პრობლემა: (1) ბაზა არ არის სრული - არიან ბაზის მიღმა დარჩენილი შშმ პირები; (2) ბაზა არ იძლევა მასში შეყვანილი პირების შესახებ არსებული ინფორმაციის კლასიფიცირების საშუალებას (მაგ. სამუშაო უნარების, და განათლების მიხედვით).

  სრულყოფილი ბაზის არარსებობა ერთ-ერთი ბარიერია შშმ პირთა დასაქმების პროცესში. როდესაც დამსაქმებელს აქვს ვაკანსია და სურვილი, დაასაქმოს შშმ პირი, ის ვერ იღებს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს ვაკანსიის შესატყვისი კანდიდატი უნარების/განათლების კუთხით.

- **ცნობიერების დაბალი დონე/ დაბალი მიმღებლობა**

  ეს საკითხი პრობლემას წარმოადგენს, როგორც ზოგადად საზოგადოებაში, ასევე ბიზნესის და თავად შშმ პირების და მათი ოჯახის წევრების შემთხვევაშიც. საზოგადოებას დაბალი მიმღებლობა აქვს შშმ პირების მიმართ. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირება არ ხდება მათივე ოჯახის წევრების მხრიდან არსებული არასწორი დამოკიდებულების გამო.

  დაბალი მიმღებლობა/ნეგატიური დამოკიდებულება პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების ყველა დონეზე. კერძო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან ხშირად არ არის მზაობა, რომ დაასაქმონ შშმ პირები, თუმცა, მაშინაც, როდესაც კერძო კომპანიას სურს მათი დასაქმება, ის წინააღმდეგობას აწყდებიან მომხმარებლის მხრიდან. მომხმარებლებს ხშირად არ სურთ მომსახურების მიღება შშმ პირისგან.

- **განათლების/ უნარების ნაკლებობა**

  დამსაქმებლისთვის ხშირად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ შშმ პირებს არ აქვთ სათანადო განათლება/უნარები. რეგიონში არის პროფესიული სასწავლებელი „ოპიზარი“, სადაც შშმ პირებს შეძლიათ უფასოდ ჩაერთონ სასწავლო პროცესში. მათი მომზადება/გადამზადების დაფინანსების საშუალებას იძლევა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოც.

  ამ მიმართულებით პრობლემას წარმოადგენს შშმ პირთა ტრანსპორტირება საგანმანათლებლო დაწესებულებამდე.

- **არა ადაპტირებული გარემო/ტრანსპორტით სარგებლობის სირთულე**

  ხშირად შშმ პირთა დასაქმებაში მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი არის არა ადაპტირებული შენობები და ტრანსპორტი. 2024 წლისთვის იგეგმება მუნიციპალური ტრანსპორტის სრულად ადაპტირება. პრობლემას წარმოადგენს ასევე ტრანსპორტით სარგებლობის ღირებულება, რომლის გადახდის საშუალებაც ყოველთვის არ აქვთ შშმ პირებს.

  მუნიციპალიტეტი ასევე გეგმავს მის საკუთრებაში არსებული შენობების ნაწილის ადაპტაციას, თუმცა კერძო ბიზნესის საკუთრებაში არსებული შენობების შემთხვევაში, ეს პრობლემა ისევ აქტუალური რჩება.

- **სოციალური საწარმოს არ არსებობა**
  მუნიციპალიტეტში არ არსებობს დღის ცენტრი, რომლის ბაზაზეც შესაძლოა შეიქმნას სოციალური საწარმო. ასეთი ტიპის საწარმო შექმნის როგორც შშმ პირთა დასაქმების შესაძლებლობას, ასევე დაეხმარება მათ სხვადასხვა უნარის გამომუშავებაში და პროფესიულ განვითარებაში, რაც შემდგომში მათ დასაქმებას გაამარტივებს. სამოქალაქო სექტორის მხრიდან არის მზაობა მსგავსი დღის ცენტრი და საწარმოს შექმნის, თუმცა მათ არ აქვთ სათანადო ფართი და ფინანსური რესურსი.

- **არ ხდება კერძო სექტორის წახალისება, რომ მათ დაასაქმონ შშმ პირები**
  კერძო სექტორს ნაკლები დაინტერესება აქვს შშმ პირების დასაქმების კუთხით, რადგან სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს მათი წახალისების მექანიზმი. ასეთი მექანიზმი შეიძლება იყოს საგადასახადო შეღავათი შშმ პირთა დასაქმების შემთხვევაში, რაც ცენტრალურ დონეზე გადასაჭრელი საკითხია, ან დასაქმებული პირების ხელფასის სუბსიდირება/თანადაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტიდან. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს აქვს სუბსიდირების პროგრამა, თუმცა შეზღუდული ვადით, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდანაც მოხდეს ფინანსური მხარდაჭერა - სუბსიდირება/თანადაფინანსება.

რეკომენდაციები:

პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გაანალიზების შემდეგ, პრობლემების ზემოთ მოცემული ჩამონათვალიდან, სამუშაო χგუფმა გამოკვეთა პრიორიტეტული საკითხები და შეიმუშავა ამ საკითხების გადაჭრის რეკომენდაციები.

	რეკომენდაციები
პრობლემა: მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირთა ბაზა არ არის სრულყოფილი	
1	**შშმ პირთა არსებული ბაზის შევსება/განახლება** - მნიშვნელოვანია, რომ არსებულ ბაზაში მაქსიმალურად სრულად იყვნენ აღრიცხული მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირები.
2	**ბაზაში არსებული/დამატებული ინფორმაციის კლასიფიცირება -** დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაცია ამა თუ იმ კანდიდატის განათლების, პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების შესახებ. შესაბამისად, მოცემული ბაზა უნდა შეიცავდეს ამ ინფორმაციას და ამ ინფორმაციის მიხედვით მონაცემთა კლასიფიცირების საშუალებას იძლეოდეს.
3	**ბაზის პროგრამული უზრუნველყოფა -** დღესდღეობით არსებული მონაცემთა ბაზა არის ჩაწერილი EXCEL-ის ფორმატით. ბაზის შევსების შემდეგ, მისი მოხმარების გამარტივების მიზნით, სასურველია, მოხდეს მონაცემთა ბაზისთვის მასზე მორგებული ელექტრონული პროგრამის შექმნა.
პრობლემა: ცნობიერების დაბალი დონე/ დაბალი მიმღებლობა	
1	**სოფლებში არსებული ახალგაზრდული ცენტრების წევრების გადამზადება შშმ პირთა საკითხებზე** - მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, ეფექტური გადაწყვეტა იქნება სოფლებში არსებული ახალგაზრდული ცენტრები რესურსის გამოყენება.
2	**ახალგაზრდების მიერ სოფლის მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება** - ასეთი შეხვედრები შესაძლებელს გახდის, გაიზარდოს მოსახლეობის ინფორმირებულობა შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ უფლებებსა და საჭიროებებზე.
3	**სოფლის რწმუნებულების გადამზადება/ინფორმირება შშმ პირთა უფლებებზე და მათთვის ხელმისაწვდომ სახელმწიფო სერვისებზე** - მნიშვნელოვანია, სოფლის რწმუნებულები სრულად იყვნენ ინფორმირებული როგორც შშმ პირების უფლებების შესახებ, ასევე იმ სერვისებზე, რასაც სახელმწიფო სთავაზობს შშმ პირებს, რათა შეძლონ სწორი კომუნიკაცია/სწორი ინფორმაციის მიწოდება სოფლად მცხოვრები შშმ პირებისათვის.
პრობლემა: საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის სირთულე	
1	**მუნიციპალური ტრანსპორტი ადაპტირება და მასზე შეღავათის დაწესება შშმ პირთათვის** - ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი და მისით სარგებლობის შეღავათიანი პირობები შესაძლებელს გახდის შშმ პირების დამოუკიდებლად გადაადგილებას, რაც მათ საშუალებას მისცემს უფრო აქტიურად ჩაერთონ როგორც სამუშაო, ასევე სასწავლო პროცესებში.
პრობლემა: სოციალური საწარმოს არარსებობა	
1	**სოციალური საწარმოს შექმნის ხელშეწყობა - დაფინასების და/ან შენობის უზრუნველყოფა საწარმოსთვის** - შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ სოციალური საწარმოს შექმნის მზაობა და ხედვა. მუნიციპალიტეტის მხრიდან მათ სჭირდებათ ფინანსური/მატერიალური მხარდაჭერა.
პრობლემა: არ ხდება კერძო სექტორის წახალისება, რომ მათ დაასაქმონ შშმ პირები	
1	**კერძო სექტორში დასაქმებული შშმ პირების ხელფასის სუბსიდირება/თანადაფინანსება** - მუნიციპალიტეტის მხრიდან კერძო სექტორში დასაქმებული შშმ პირების ხელფასის სუბსიდირება/თანადაფინანსება, დამსაქმებელს გაუზრდის მოტივაციას და გაუჩენს შშმ პირების დასაქმების ინტერესს.

ზოგადი რეკომენდაცია:

სამუშაო ჯგუფის წევრების მოსაზრებით, იმისთვის რომ მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს როგოც ზემოთ მოცემული რეკომენდაციების შესრულება, ასევე ზოგადად შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა, სასურველია, მერიის შესაბამის სამსახურში გამოიყოს ცალკე პოზიცია. ამ პოზიციაზე დასაქმებული ადამიანი (მინიმუმ 1) პირდაპირ პასუხისმგებელი იქნება შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობაზე.

დამატებითი კომენტარი:

შეხვედრის მონაწილეები ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართული სამუშაო პროცესში. თითოეული მათგანს ჰქონდა საკითხის მიმართ მაღალი ინტერესი და სრული მზაობა, ხელი შეუწყონ შშმ პირთა დასაქმებას თავიანთი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში. ასევე აღსანიშნავია, რომ საკითხის უფრო ეფექტურად გადაწყვეტის მიზნით, მონაწილეები მზად არიან სექტორთა შორისი თანამშრომლობისთვის.

სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო კერძო სექტორის ორმა წარმომადგენელმა. ორივე მათგანმა გამოთქვა შშმ პირების დასაქმების სურვილი. მათი კონკრეტული შეთავაზების შედეგად, სამი შშმ პირი დასაქმდება ორ სხვადასხვა კომპანიაში. ასევე, კერძო სექტორის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრია, გამოთქვა მზაობა, უშუამდგომლოს არასამთავრობო ორგანიზაციებს მერიასთან, რათა მათ უზურფრუქტით გადაეცეთ ფართი რაბათის ციხესთან, სადაც შეძლებენ შშმ პირების ხელნაკეთი ნივთების გაყიდვას.

სამოქმედო გეგმა

ოთხი შეხვედრის განმავლობაში ინტენსიური მსჯელობის შედეგად, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც მერიას წარედგინება რეკომენდაციის სახით.

მიზანი: შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა			
ამოცანა 1: მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირთა ბაზის სრულყოფა			
რეკომენდირებული ნაბიჯები	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**შესაძლო თანამშრომლობა**	**განხორციელების პერიოდი**
ნაბიჯი 1: შშმ პირთა არსებული ბაზის შევსება/განახლება	• ახალციხის მერია • სოფლის რწმუნებულები	•დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო •სოციალური ზრუნვის სააგენტო	2024 წელი
ნაბიჯი 2: ბაზაში არსებული/დამატებული ინფორმაციის კლასიფიცირება	ახალციხის მერია		2024 წელი
ნაბიჯი 3: ბაზის პროგრამული უზრუნველყოფა	ახალციხის მერია		2024 წელი
ამოცანა 2:შშმ პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის ხელმისაწვდომობის გაზრდა			
ნაბიჯი 1: მუნიციპალური ტრანსპორტი ადაპტირება	• ახალციხის მერია • მუნიციპალიტეტის საკრებულო		2024 წელი
ნაბიჯი 2: მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის გადასახადის სუბსიდირება შშმ პირებისთვის	• ახალციხის მერია • მუნიციპალიტეტის საკრებულო		2024 წელი

ამოცანა 3: სოციალური საწარმოს შექმნის ხელშეწყობა			
ნაბიჯი 1: სოციალური საწარმოს შენობით უზრუნველყოფა	• ახალციხის მერია • მუნიციპალიტეტის საკრებულო	რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები	2024 წელი
ნაბიჯი 2: სოციალური საწარმოსთვის დაფინანსების უზრუნველყოფა	• ახალციხის მერია • მუნიციპალიტეტის საკრებულო	რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები	2024 წელი
ამოცანა 4: საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა			
ნაბიჯი 1: სოფლის რწმუნებულების გადამზადება/ინფორმირება შშმ პირთა უფლებებზე და მათთვის ხელმისაწვდომ სახელმწიფო სერვისებზე	• ახალციხის მერია • სოფლის რწმუნებულები	რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები	2024-2025 წელი
ნაბიჯი 2: სოფლებში არსებული ახალგაზრდული ცენტრების წევრების გადამზადება შშმ პირთა საკითხებზე	• ახალციხის მერია • სოფლის რწმუნებულები	რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები	2024-2025 წელი
ნაბიჯი 3: გადამზადებული ახალგაზრდების მიერ სოფლის მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება	• ახალციხის მერია • სოფლის რწმუნებულები		2024-2025 წელი
ამოცანა 5: კერძო სექტორის წახალისება, რათა მათ დაასაქმონ შშმ პირები			
ნაბიჯი 1: კერძო სექტორში დასაქმებული შშმ პირების ხელფასის სუბსიდირება/თანადაფინანსება.	• ახალციხის მერია • მუნიციპალიტეტის საკრებულო		2024-2025 წელი